ხელშეკრულება სახემწიფო შესაყიდვის შესახებ N 32

ქ.ჯვარი 1 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ , სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ლაკადა" დირექტორის დარეჯან ფიფიას სახით (შემდგომში -შემსყიდველი) მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,პოლიგრაფისტი " მის.თბილისი სურამის ქუჩა N13 ს/ კ 202886261 ირაკლი თევდორაშვილის სახით (შემდეგში მიმწოდებელი) ვხემძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანომდებლობით ვდებთ წინმდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ლაკადისთვის " ბეჭვდითი მომსახურების შესყიდვა cpv 79810000.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1.სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ლაკადი''-ისთვის დიპლომის დაბეჭვდა .

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 80 (ოთხმოცი ლარი).

3.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1. ,,მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ,,შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. მომსახურების შესრულების ადგილი და ვადები

5.1. გაწეული მომსახურების შესრულების ვადა 2014 წლის 1 ივლისიდან 2014 წლის 30 აგვისტომდე .

5.2. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი .

5.3. მომსახურების გაწევასთან ერთად, ,,მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა ,,შემსყიდველისათვის" (გაწეული მომსახურების აქტი და სასაქონლო ზედნადები).

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. გაწეული მომსახურება ფორმდება აქტით, რომელიც დადასტურდება ,,შემსყიდველისა" და ,,მიმწოდებლის" მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2გაწეული მომსახურების დამადასტურებელ აქტის ხელმოწერაზე უფლება მოსილი პირია კოლეჯის დირექტორი დარეჯან ფიფია

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. გათვალისინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

- რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს" ნაკლის დაუყონებლივ გამოსწორება; - მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია: უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული

8.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია: უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს : მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია: შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს ,,შემსყიდველს"; - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყონებლივ;- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. ინსპექტირება გულისხმობს ,,შემსყიდველის" - მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

13.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას ,,შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს თენგიზ სამუშია_ (მთავარი ბუღალტერი).

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი":	,,მიმწოდებელი":
სსიპ პროფესიული კოლეჯი	
,, ლაკადა"	შ.პ.ს ,,პოლიგრაფი''
მისამ: ქ.ჯვარი ყაზბეგის ქ.N2	მისამ:თბილისი ,სურამის ქ.N13
ს/კ 242728679	ს/კ 202886261
ა/ა GE41BR0300013302003536	სს,,ბანკი ქართუ''
დირექტორი : დ. ფიფია	ა/ნ ,, GE03CR0000000007193602
	,,მიმწოდებელი": ირაკლი თევდორაშვილი